საქართველოში საპენსიო რეფორმის განხორციელება მრავალჯერ შეფერხდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ამას თან ერთვოდა მოსახლეობის ფსიქოლოგიური განწყობა სახელმწიფოს მიმართ უნდობლობის მხრივ. საქართველო დგასევროინტეგრაციისგზაზე,სადაცერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს სოციალურად მოწყვლადი ფენებისსათანადოდ დაცვა და სოციალური გათანაბრება. ამასთან, საპენსიო სქემების არსებობა უზრუნველყოფს დიდი მოცულობის თანხების აკუმულირებას,

რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კაპიტალისა და ფინანსური ბაზრის განვითარებაში.

საპენსიო სქემების არსებობის დადებითი მხარეები შეიძლება ვლინდებოდეს გათანაბრებითი კოეფიციენტის პერმანენტულ ზრდაში, მაგრამ ასეთ დროს სახელმწიფო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (ინფლაცია, უმუშევრობა, ეროვნული ვალუტის მდგრადობა) უნდა იყოს შედარებით სტაბილური.

მნიშვნელოვანი დისკუსიები წარმოიშობა ასევე, საპენსიო სააგენტოში (ფონდში) აკუმულირებული ანხების განკარგვის თაობაზე, კერძოდ, რომელი აქტივების შეძენაში შეიძლება მიდიოდეს თანხები და რა ოდენობით.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში საპენსიოსააგენტოსწინაშედასმულიამოცანები სჭირდება მართვას, რადგან საპენსიო რეფორმა მხოლოდ რამოდენიმე წელს ითვლის.

შესავალი

სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტია მოსახლეობის სოციალურად დაცვა, რისი მიღწევაც თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სახელმწიფოს სოციალური ზრუნვის ფორმები შეიძლება სხვადასხვა სახით ვლინდებოდეს, მათ შორის ერთ-ერთია მოსახლეობის ხანდაზმული ფენების სოციალური უზრუნველყოფა პენსიებით. საპენსიო სქემების სახეობების დანერგვა დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, პენსია შრომისუუნარობის პერიოდში სტაბილური მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნების მექანიზმია. კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ იხვეწებოდა საპენსიო სისტემები, რომლის ძირითადი მიზანი შრომისუუნარიან პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავლის ისეთი ჩანაცვლება იყო, რომელიც ცხოვრების პირობებს არ გააუარესებდა. აქედან გამომდინარე, პენსიით ჩანაცვლების კოეფიციენტი გახდა საზომი ამა თუ იმ ქვეყნის საპენსიო სისტემის შეფასებისა. განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემებში ჩანაცვლების კოეფიციენტი 60-80%-ის ფარგლებშია, განვითარებად ქვეყნებში 15-30%, რომელიც სისტემატურად ექვემდებარება კორექტირებას.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოები ცდილობენ შექმნან და დაფინანსონ სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ეკონომიკაზე ზედმეტი წნეხის/ტვირთის გარეშე შეძლებენ დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად გაზრდილი

სოციალური დანახარჯების დაფინანსებას. დემოგრაფიული დივიდენდების გაქრობა დაიწყო მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც სახელმწიფოებმა დაიწყეს მოსახლეობის სამუშაო ასაკის შემცირება. (GÓRA, 2017:2)

როდესაც საუკუნის წინ ტრადიციულ საპენსიო სქემას ჩაეყარა საფუძველი, დასაქმებულებს შეჰქონდათ მცირე ოდენობის შენატანები, რომლებიც ფარავდნენ ხანდაზმულთა პენსიებს. გერმანიაში 1950 წლისათვის ყოველ 100 შრომისუნარიან დასაქმებულზე მოდიოდა 16 ადამიანი, რომელიც 65 წელზე მეტი ასაკის იყო. 2050 წლისათვის კი ეს რიცხვი ფაქტობრივად რთულად პროგნოზირებადი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ასაკი გაზრდილია 67 წლამდე. (GÓRA, 2017:2)

სტრუქტურის სხვაობამ და საპენსიო რეფორმების განხორციელებამ საფუძველი დაუდო სხვადასხვა საპენსიო სქემებს. სისტემის უმრავლესობა არის საჯარო, მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფო იყენებს, როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობით სქემებს, კერძო საპენსიო ფონდებთან ერთად. (Basilio and Oggero, 2020:2)

ასევე, უმრავლეს ქვეყანაში შენარჩუნებულია მინიმალური გარანტირებული პენსია, რომელიც ფაქტობრივად ემსახურება პენსიონერების საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას.

საქართველო, მიუხედავად ბოლო ათწლეულში ეკონომიკური ზრდის ნორმალური მაჩვენებლისა, საპენსიო უზრუნველყოფის მექანიზმით - ჩანაცვლების უზრუნველყოფის მაღალი კოეფიციენტით ვერ გამოირჩევა.

დამოუკიდებლობის მიღების დღიდან სახელმწიფო საბაზისო პენსია პერიოდულად ექვემდებარებოდა ცვლილებებს. თუმცა, ცვლილება დაკავშირებული იყო არა იმდენად საარსებო მინიმუმთან მიახლოებასთან,

რამდენადაც ხელისუფლების ცვლილებისას მორიგ დაპირებებთან.

თანამედროვე ეტაპზე საპენსიო სისტემა მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება.

განვითარებადი და განვითარებული ქვეყნები ცდილობენ სოციალურ გათანაბრებას მოსახლეობის პენსიაზე გასვლის დროისათვის, რაც ხშირად რთულად მისაღწევია და მოითხოვს, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებას. სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭიროებს დიდი მოცულობის ხარჯების გაღებას, რაც ხშირად ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და მაღალი ინფლაციის მიზეზი შეიძლება იყოს. ეს კი თავისთავად ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. სოციალური დანახარჯების ზრდა ხშირად მეცნიერ-ეკონომისტებს შორისაც წარმოადგენს დავის საგანს. მაგალითად, სახელმწიფოს განვითარებისათვის, როგორი ხარჯვა იქნება უფრო ეფექტური, სოციალური თუ კაპიტალური პროექტების დაფინანსება? ხშირად, კაპიტალური დანახარჯების ზრდა, სოციალური მდგომარეობის ხარჯზე, არც თუ პოპულარულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად ითვლება, რამეთუ ამ დროს მოსახლეობის სოციალურად მოწყვლადი ფენების უკმაყოფილება იზრდება.

საქართველოში 90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა დემოგრაფიული სტაბილურობა დაარღვია, ამის შედეგად მივიღეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება და დაბერების ინდექსის გაზრდა, რომელიც სავარაუდოდ მომავალში კიდევ

უფრო გაიზრდება, რაც ისტორიულად სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებამაც აჩვენა. ამგვარად, საქართველოშიც დამძიმდება პენსიონერთა პენსიით უზრუნველყოფის მდგომარეობა. სწორედ ამპირობებში გაიზარდა კერძო საპენსიო სისტემის შექმნისადმი ინტერესი. დღეისათვის მთავრობის მიერ შემოთავაზებული კერძო საპენსიო სისტემის მოდელი აქტუალობასა და რისკს შორის განიხილება. აქედან გამომდინარე, იგი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს. მრავალი სამეცნიერო სტატია, ექსპერტული შეფასება, სტატისტიკური კვლევა არის შესრულებული საპენსიო სისტემის შესახებ, თუმცა არსებობს კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მხოლოდ ვარაუდის დონეზე არის შესაძლებელი.

მსოფლიოში საპენსიო ფონდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური და კაპიტალური ბაზრების ფუნქციონირებაში, ასევე საპენსიო ფონდების აქტივები, ხშირად განიხილება, როგორც შესაძლებლობა ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებისათვის, რა თქმა უნდა, ასეთ დროს მნიშვნელოვანია რისკების შეფასება და გაზომვა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეულ სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისაგან. ამასთან დაკავშირებითაც არ არსებობს ერთიანი სტრატეგია, რამეთუ აღნიშნულიც ასევე დამოკიდებულია საპენსიო სქემების არსებობის ვადასთან და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. გამონაკლისი შემთხვევებია, როდესაც საპენსიო სააგენტოს აქტივები მიდის რეალურ აქტივებში, მაგრამ ასეთი პრაქტიკაც რა თქმა უნდა, არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც კერძო საპენსიო სქემებია გავრცელებული. ნებისმიერ შემთხვევაში საპენსიო ფონდების მიერ თანხის


განკარგვა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საფრთხილო გადაწყვეტილება, რომელიც ფინანსების განკარგვის დროს შეიძლება მიღებულ იქნას.

უნდა აღინიშნოს მსოფლიო საპენსიო აქტივების მოცულობასა და გეოგრაფიულ გადანაწილებაზე, რომელიც გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევს კონკრეტული სახელმწიფოების შესახებ. საპენსიო სქემების

განვითარების თაობაზე, 2020 წლის OECD კვლევაში აღნიშნულია, რომ მსოფლიო საპენსიო აქტივების 65%-მდე მოდის აშშ-ზე. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვს გაერთიანებულ სამეფოსაც 7.3%-ს ფარგლებში. აქტივების მოცულობის სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონესა და როგორც აღინიშნა, საპენსიო სქემების აპრობაციის ხანგრძლივობაზე (იხ. დიაგრამა N1)

დიაგრამა 1

საპენსიო აქტივების გეოგრაფიული გადანაწილება ეთგო-ს ქვეყნებში, 2019 (%-ად)
(pension markets in focus, 2020:14)



ასევე უნდა აღინიშნოს მსოფლიო საპენსიო აქტივების მოცულობის ზრდის ტენდენციაზე, რამეთუ სიცოცხლის ხანგრძლივობის და სამუშაო ასაკის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტი თანხების აკუმულირებასთან გვექნება საქმე საპენსიო ფონდებში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამომავლად კონკრეტულ სახელმწიფოებში დაგროვილი თანხები დაიწყებს მსოფლიო მასშტაბით მოძრაობას. პრინციპში ასეთი პრაქტიკა უკვე არსებობს, რამეთუ კონკრეტული სახელმწიფოს ინვესტიციურ-ეკონომიკური შესაძლებლობები ვერ აითვისებს დიდი მოცულობის თანხებს

მაღალსარგებლიანი პროცენტით. შესაბამისად, საპენსიო ფონდებს მოუწევთ რთული, კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება იმის გათვალისწინებით, რომ საპენსიო ფონდების (სააგენტოების) საქმიანობა ექვემდებარება რეგულატორის მხრიდან ზედამხედველობას.

ჯერ-ჯერობით, 2021 წლის ანგარიში OECD-ს არ აქვს გამოქვეყნებული, სადაც განვიხილავდით და შევაფასებდით კოვიდ-19 პანდემიის ზეგავლენას საპენსიო აქტივების მოცულობაზე. რაც შეეხება 2020 წლის ანგარიშს, რომელშიც მოცემულია 2019 წლის ჩათვლით მონაცემები, აქტივების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. OECD-ს ქვეყნებში საპენსიო

აქტივების მოცულობა 2009-2019 წლების დოლარს შეადგენს. თუ შევადარებთ 2009 წლის ჩათვლით ზრდადია, თუ არ ჩავთვლით 2015 მონაცემებს დაახლოებით 1.5-ჯერ გაზრდილია და 2018 წელს. 2019 წლისათვის საპენსიო (იხ. დიაგრამა 2).
აქტივების მოცულობა 50 ტრილიონამდე

დიაგრამა 2

ეთგო-სა და სხვა ქვეყნებში საპენსიო სქემებში დანაზოგების მოცულობა, 2009-2019, ტრლნ დოლარში (pension markets in focus, 2020:17)



ყველა თანხმდება, რომ საპენსიო რეფორმა საქართველოში აუცილებლობით იყო და არის განპირობებული, მაგრამ რამდენად ეფექტიანი იქნება სამომავლოდ ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად თავდაპირველი დისკუსიებისა, საპენსიო რეფორმამ მაინც ბევრი კითხვა წარმოშვა. მაგალითად, საპენსიო შენატანის სამართლებრივ ბუნებაზე. კერძოდ, დავას იწვევს საპენსიო შენატანის სავალდებულო ხასიათი, რომელიც დამსაქმებელისათვის და დასაქმებულისათვის

შეადგენს ხელფასის ოდენობის 2-2%-ს. სადავო ნორმები დასაქმებულ და დამსაქმებელ პირებს საპენსიო სქემაში გაწევრიანებას ავალდებულებს. დასაქმებული პირის დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტი განთავსდება მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია, დამატებით გაიღოს დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტი დასაქმებულის სასარგებლოდ.

აღნიშნულის რეგულირება გაუმართლებლად ზღუდავს ორივე მოსარჩელის საკუთრების უფლებას: საპენსიო რეფორმის ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანია დასაქმებულთათვის გამომუშავებული ხელფასის პირდაპირპროპორციული დანაზოგის შექმნის შესაძლებლობის მიცემა. დასახელებული მიზანი არ არის საზოგადოებრივ ინტერესებში, რადგან მოსარჩელეს ეზღუდება საკუთრების უფლება თავად მისივე კეთილდღეობის მოტივით, რაც პატერნალიზმის იმგვარი ფორმაა, რომელიც თავსებადი არ არის თავისუფალ საზოგადოებასთან.

ასევე, მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმები განსაკუთრებით პრობლემურია დამსაქმებელთან მიმართებით, რადგან იგი ვალდებულია, დასაქმებულის სასარგებლოდ განახორციელოს შენატანი, რომლისგანაც ის ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია საპენსიო შენატანს არ მიიჩნევს გადასახადად, დამსაქმებლის პერსპექტივიდან მისთვის აღნიშნული ვალდებულების დაკისრება განხილული უნდა იქნეს საგადასახადო ტვირთის დაწესებად და არა საპენსიო შენატანად. გადასახადის შემოღება კი მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის დასაშვები. (კონსტიტუციური სარჩელი, ელექტრონული ფორმით) საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური ხასიათიდან გამომდინარე. (საგად. კოდექსი, მ.6)

აღნიშნული სარჩელი კონსტიტუციურმა სასამართლომ განსახილველად მიიღო და უნდა დაველოდოთ გადაწყვეტილებას. სასამართლო ძირითად ყურადღებას ამახვილებს დამსაქმებლის მიერ გაწეულ ხარჯზე 2%-ის ოდენობით, რომელიც თავისი არსით გადასახადს წარმოადგენს. აღნიშნული სარჩელის მიღების დროს, მოსარჩელე მხარემ მოითხოვა კანონის შეჩერება, რაც მოსამართლეთა კოლეგიის მიერ არ დაკმაყოფილდა, მაგრამ ერთმა მოსამართლემ დააფიქსირა განსხვავებული აზრი და არ დაეთანხმა კოლეგიის გადაწყვეტილებას. შესაბამისად, გვესმის თუ რამდენად რთული იქნება გადაწყვეტილების მიღება აღნიშნულ საკითხზე.


ზოგადად, სახელმწიფო საპენსიო რეფორმის ფარგლების მიზანი, როგორც აღინიშნა არის პენსიაზე გასვლის დროს ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდა და ამასთან, მოსახლეობის სოციალურად გათანაბრება. საპენსიო რეფორმის მნიშვნელოვან მიზანს ასევე წარმოადგენს კაპიტალის და ფინანსური ბაზრის განვითარება და სახელმწიფო ბიუჯეტზე ნაკლები ზეწოლა. მსოფლიოს და საქართველოს ტენდენციით სოციალურად უზრუნველყოფილ პირთა, მათ შორის პენსიონერთა წილი პერიოდულად იზრდება, რაც კიდევ უფრო ზრდის სახელმწიფო ხარჯს ამ მიმართულებით. ასევე გასათვალისწინებელია სამომავლოდ სიცოცხლისუნარიანობის ზრდაც.

საქართველოში ბოლო 7 წლის განმავლობაში პენსიის მიმღებთა რაოდენობა დაახლოებით 100 000 ადამიანით გაიზარდა და 2020 წლისათვის შეადგენს 783.7 ათასს, მაშინ როდესაც სამუშაო ძალა 2014 წელთან შედარებით 2020 წელს შემცირებულია და შეადგენს დაახლოებით 1,5 მილიონ ადამიანს,

ასევე გაუარესების სტატისტიკა შეინიშნება შეადგენს დაახლოებით 23%-ს (იხ. დიაგრამები უმუშევრობის დონესთან მიმართებით და ის 3, 4).


დიაგრამა 3

ასაკით პენსიონერი, ათასი (სოციალური უზრუნველყოფა)



დიაგრამა 4

უმუშევრობის დონე სამუშაო ძალასთან მიმართებით (სტატისტიკა, სამუშაო ძალა)



გამოდის, რომ ყოველ 100 დასაქმებულზე მოდის 50 პენსიონერი და მხოლოდ ეს რომ დამოკიდებული იყოს დასაქმებულების მიერ გადახდილ გადასახადებთან, რა თქმა უნდა ეს იქნებოდა მძიმე ტვირთი გადასახადის გადამხდელისათვის. საქართველოში სოციალური გადასახადის არ არსებობის გამო ასეთი სოციალური ხარჯების გაღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. რატომ უნდა ასეთი მიდგომა სწორი იყო თავდაპირველად, რადგან უმუშევრობის მაღალი დონე და სამუშაო ძალის თანაფარდობა სოციალური

ზრუნვის მიმღებ პირებთან მიმართებით აშკარად არც იყო და არის ბალანსირებული. სოციალური გადასახადის შემოღებით სახელმწიფოს მუდმივად მოუწევდა მისი დაკორექტირება ზრდის მიმართულებით, რაც ზედმეტი ტვირთის მატარებელი იქნებოდა როგორც დამსაქმებლისათვის, ასევე დასაქმებულისათვის.

წარმოვადგენთ მცირე ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ დანახარჯებზე.

ცხრილი 1

სახელმწიფო ბიუჯეტის და სოციალური დაცვის ხარჯების მოცულობა, მლნ. ლარებში
(ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში)

ფუნქციური დანიშნულება/წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სულ ხარჯები	8,177.9	8,838.2	9,404.2	10,343.9	11,455.9	12,231.7	18,420.3	16,758.1
სოციალური დაცვა	2,174.9	2,217.6	2,410.2	2,545.4	2,699.0	3,094.1	3,469	3,839
მათ შორის ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,335	1,399	1,570	1,714	1,746	1,972	2,273	2,645

წყარო: სტატისტიკური მონაცემები ასევე დამუშავებულია სახელმწიფო კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ (2016, 2018, 2020 წლები)

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოციალურ დაცვაზე გაწეული დანახარჯები საკმაოდ მოცულობითია და ის ფაქტობრივად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების უდიდეს ნაწილს მოიცავს, ამასთან, სოციალური დაცვის დანახარჯებში ლიდერობს ხანდაზმულთა სოციალურ დაცვაზე გაწეული დანახარჯები. ცხრილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2014-2021 წლის მონაცემებით სოციალური დაცვა

სახელმწიფო ბიუჯეტის 20-25% ფარგლებშია, ხოლო ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ამ პერიოდში სოციალური დაცვის 70%-ის ფარგლებშია. აღნიშნული მონაცემები მოცულობითია და ბიუჯეტისთვის საკმაოდ მაღალი ტვირთია. უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ წლიდან წლამდე პენსიის მოცულობა იზრდება და ის 2021 წლის მდგომარეობით შეადგენს 250 ლარს, ხოლო 70 წელს გადაცილებული პენსიონირებისათვის 270 ლარს, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს

ფაქტობრივ საარსებო მინიმუმსაც მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, 2020 წლის IV კვარტალისათვის შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი შეადგენს 202.8 ლარს. (საქსტატი, საარსებო მინიმუმი).

ჩანაცვლების კოეფიციენტის თაობაზე (პენსიის მიმართება ხელფასთან, რომელსაც დასაქმებული პენსიაზე გასვლამდე იღებდა) შეადგენს 20.3%, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სხვა ქვეყნებში არსებულ აღნიშნულ მაჩვენებელს. ჩანაცვლების

კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 40%-ს, OECD-ს ქვეყნებში 63%, ევროკავშირის ქვეყნებში კი - 78%-ს. (KAS, 2019:5) ჩანაცვლების კოეფიციენტის 20.3% ნიშნავს, რომ საქართველოში საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქე პენსიაზე გასვლის შემდეგ პენსიის სახით ხელფასის დაახლოებით 5-ჯერ ნაკლებს აიღებს (2020 წლის წინასწარი მონაცემებით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენს 1227.3 ლარს).

ცხრილი 2

სამუშაო ძალის მაჩვენებლები, საშუალო ხელფასის მოცულობა
(სტატისტიკა, სამუშაო ძალის მაჩვენებლები)

	2018	2019	2020, I	2020, II	2020, III	2020, IV
დასაქმებული, ათასი	1,299.8	1,276.9	1,262.7	1,237.6	1,269.1	1,197.9
თვითდასაქმებული, ათასი	389.5	396.8	370.8	397.6	423.1	391.9
საშუალო თვიური ხელფასი, ლარი	1,068	1,129.5	1,202.7	1,150.1	1,239.5	1,314.7
თვითდასაქმებულთა პროცენტული თანაფარდობა	30%	29%	29.36%	32.12%	33.33%	32.71%

საპენსიო რეფორმის ძირითადი მიზანი სწორედ პენსიის მოცულობის გაზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტზე ნაკლები ზეწოლაა, თუმცა, ჩანაცვლების კოეფიციენტი სამომავლოდ აუცილებლად უნდა გაიზარდოს. საპენსიო რეფორმის რომ საპენსიო სქემამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს კაპიტალის ბაზრის განვითარებას. სისტემატურად იზრდება დანაზოგების მოცულობა, რომელიც შეიძლება აქტივების განკარგვის დროს გადაწყვეტილების მიღების პრობლემურობას წარმოშობდეს. მაგალითად, 2021 წლის 5 მაისის მდგომარეობით საპენსიო აქტივების მოცულობამ 1.420 მილიარდი ლარი

შეადგინა. საპენსიო აქტივები განთავსებულია ქართულ კომერციულ ბანკებში და ერიცხება სარგებელი 11%-ის ოდენობით. საპენსიო აქტივების 62% განთავსებულია სადეპოზიტო სერტიფიკატებში და ვადიან დეპოზიტებში, ხოლო 38% სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე. საპენსიო სქემაში ჩართულია 1,145,808 ადამიანი, ხოლო დაგროვებითი პენსიით ისარგებლა უკვე 800-მდე ადამიანმა. ასევე, 2021 წლის 12 აპრილის მდგომარეობით დარიცხული სარგებელი შეადგენს 148 მილიონ ლარს. (საპენსიო სააგენტო 2021) აღნიშნული მონაცემები რა თქმა უნდა

დადებით მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ, რამეთუ განვითარებადი ქვეყნებისათვის დეპოზიტებზე სარგებლის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი განპირობებულია კრედიტებზედარიცხული მაღალისაპროცენტო განაკვეთებით (საპროცენტო სპრედიტ), რომელიც თავისთავად განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობითა და მსესხებლების გადახდისუნარიანობის რისკების შეფასებით. ამასთან, მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საპენსიო სააგენტოსთვის განსაზღვრულია ინვესტირების დაბანდების ობიექტები - დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში. აკრძალულია ინვესტირება უძრავ ქონებაში, აქტივებში, რომელთა გასხვისება დაუშვებელია კანონით, ფიზიკურ აქტივებში, დერივატივებში (გარდა ჰეჯირების მიზნით გამოყენებისა).

რაც შეეხება ინვესტიციების დასაშვებ აქტივებს, ესენია კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში: უცხოური ვალუტა - 0-20%, წილობრივი ფასიანი ქაღალდები - 0-20%, სასესხო ფასიანი ქაღალდები 100%-მდე, ფულადი სახსრები და დეპოზიტები 75%-მდე.

არსებული მდგომარეობით წილობრივ ფასიან ქაღალდებს საპენსიო სააგენტო არ ფლობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდაც წილობრივი ფასიანი ქაღალდების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მაინც გართულდება (იგივე აქციებთან მიმართებით), რამეთუ საპენსიო სააგენტოს მოუწევს სააქციო საზოგადოების ან საინვესტიციო ფონდების პაიების შეძენა, რაც უნდობლობის გამომწვევი

შეიძლება აღმოჩნდეს იმ პირებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან საპენსიო სქემაში. ასევე, საინტერესოა, შეძლებს თუ არა საპენსიო სააგენტო უცხოურ ბაზრებზე საინვესტიციო აქტივობას სამომავლოდ, ამასთან, კარგი იქნებოდა, რომ საპენსიო სააგენტოს თავიდანვე შეეფასებინა ფართო განხილვის შედეგად ეროვნულ ინვესტიციებში მონაწილეობა, მაგალითად, იგივე ჰესების მშენებლობის პროცესში, გამოყენებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის კაპიტალი. აღნიშნულით ბევრი ისეთი პრობლემა მოიხსნებოდა, რომელიც დღეის მდგომარეობით ზოგიერთ ასეთ პროექტს ბლოკავს, რადგან წინ წამოიწევა სოციალური ფენების მიერ სახელმწიფო მიწის გასხვისების, გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, რაც საპენსიო სააგენტოს მიერ დაფინანსების შემთხვევაში შეიძლება მოიხსნას.


ასევე, გასათვალისწინებელია, რისკები, რომელიც წლების შემდეგ ეკონომიკური ცვლილებების, გაუარესების შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ. კერძოდ, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა. სამწუხაროდ, საქართველოში ეროვნული ვალუტა ბოლო 7-8 წლის განმავლობაში სისტემატურად განაგრძობს გაუფასურებას და ინფლაციის მაჩვენებელი ხშირად ცდება მიზნობრივ ინფლაციას (იხ. დიაგრამა N5). საპენსიო რეფორმის ფარგლებში ხელფასის 2-2%-ს იხდის დამსაქმებელი და დასაქმებული, ხოლო დამატებით 2%-სახელმწიფო, რაც იწვევს დასაქმებულის საპენსიო დანაზოგის დაახლოებით ექვსჯერ გადიდებას და დამატებით სარგებლის დარიცხვაც ხდება. მაგრამ თუ საშუალოდ ყოველწლიურად ინფლაციის მაჩვენებელი 10%-ს ფარგლებში იქნება, მაშინ დამსაქმებლის დანაზოგის მსყიდველობითუნარიანობაც დაბალი იქნება,

რადგან პენსიაზე გასვლის დროს საქონლისა და მომსახურების მიღება გაზრდილი ფასებით მოუწევს, რაც საპენსიო დანაზოგის ეფექტურობას ამცირებს. ინფლაციის შედეგები

კარგად აჩვენა COVID-19 პანდემიამაც, როდესაც საქართველოს ბაზარზე, სურსათზე განსაკუთრებულად გაიზარდა ფასები და კვლავ განაგრძობს ზრდას.

დიაგრამა 5

მიზნობრივი, რეალური ინფლაციისა და გაცვლითი კურსის შედარებითი მონაცემები (ეროვნული ბანკი, ოფიციალური გაცვლითი კურსი), (სტატისტიკა, ინფლაცია)



უნდა აღინიშნოს დისბალანსზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გენდერულ ჭრილში. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ქალის სიცოცხლის ხანგრძლივება შეადგენს - 2020 წლისათვის - 78 წელს, 2021 - 77, ხოლო კაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა - 2020 - 69, 2021 - 69 წ. (სტატისტიკა, სიცოცხლის ხანგრძლივობა). ამასთან, საშუალო ხელფასი სტატისტიკური მონაცემის მიხედვით 1,200 ლარის ფარგლებშია. შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებული საპენსიო კალკულატორის მეშვეობით შეგვიძლია გამოვთვალოთ ქალისა და კაცის საშუალო სასიცოცხლო ასაკის მიხედვით სავარაუდო

მისაღები თანხა პენსიაზე გასვლის დროს, ამასთან, კალკულატორი დათვლის დროს ავტომატურად მიუთითებს ხელფასის ზრდას 4%-ის ოდენობით, ალბათ ინფლაციის კორექტირების გამო, მაგრამ ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ საშუალო ხელფასისა და საშუალო სიცოცხლის ასაკის მიხედვით ქალი მიიღებს პენსიას 702 ლარის ოდენობით, ხოლო კაცი 2,620 ლარის ოდენობით. მამაკაცის შემთხვევაში ჩანაცვლების კოეფიციენტი თითქმის 4-ჯერ მეტია ქალის ჩანაცვლების კოეფიციენტზე.

ცხრილი 3

საპროგნოზო მაჩვენებელი დაზოგილი თანხების მიხედვით კაცისათვის და ქალისათვის

	მამაკაცი	ქალი
შემოსავალი თვეში	1,200	1,200
მიმდინარე ასაკი	35	35
ასაკი პენსიაზე გასვლისას	65	60
პენსიაზე ყოფნის პერიოდი	სტატისტიკის მიხედვით 5 წელი, (სიცოცხლისუნარიანობის საშუალო მაჩვენებელი)	სტატისტიკის მიხედვით 17 წელი (სიცოცხლისუნარიანობის საშუალო მაჩვენებელი)
შემოსავლის წლიური ზრდა	4%	4%
საშუალო წლიური ამონაგები საპენსიო დანაზოგზე	7%	7%
დაგროვილი თანხა პენსიაზე გასვლისას	132,332.59	83,620.75
ყოველთვიური პენსია	2,620.34	702.13
სულ ასაღები პენსია	157,220	143,234

წყარო: მონაცემები აგებულია საპროგნოზო საპენსიო მთვლელის მიხედვით ავტორების მიერ

დასკვნა

საპენსიო სქემების არსებობა დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მსოფლიოში არსებობს საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც სისტემატურად განიცდიან რეფორმებს, რამეთუ ადაპტაცია სჭირდება ახალ გამოწვევებს, რომელიც დგება კონკრეტული სახელმწიფოს თუ მსოფლიოს წინაშე, ამასთან, გასათვალისწინებელია მსოფლიოსა და საქართველოშიც მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში პერმანენტულად იზრდება პენსიის მიმღებთა რიცხვი სამუშაო ძალასთან მიმართებით, რამეთუ საშუალო სიცოცხლის ასაკიც იზრდება

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ეს პროცესი განვითარებად ქვეყნებში შედარებით ნელა ვითარდება, მაგრამ მაინც დადებითი ტენდენცია შეინიშნება, მათ შორის საქართველოშიც.

პენსიის მოცულობის განსხვავება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაზე, მის ეკონომიკურ შესაძლებლობასა და საპენსიო სქემებზე. განვითარებულ ქვეყნებში შედარებით მაღალი პენსიებია, მაგრამ ასეთი ქვეყნებიც ცდილობენ PAYG პროგრამის ფარგლებში ასევე ჰქონდეთ საბაზისო პენსიები, ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირის ქვეყნები.

დაგროვებითი პენსიის ერთ-ერთი მიზანია სოციალური გათანაბრება და ჩანაცვლების კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლის მიღება,

მაგრამ რამდენად იმუშავებს საქართველოში, ცალკე კვლევის საგანია, უმუშევრობისა და თვითდასაქმებულთა დონე სამუშაო ძალასთან მიმართებით მაღალია, კერძოდ, დაახლოებით სამუშაო ძალის 30%-მდე ვერ ჩაერთვება საპენსიო სქემაში. ამასთან, საშუალო თვიური ხელფასის მოცულობა, რომელიც სტატისტიკურად ქვეყნდება, ესეც სადავოა. ხშირად კითხვებს იწვევს დათვლის მეთოდოლოგია და არ არსებობს მინიმალური ხელფასის ოდენობა კანონმდებლობის დონეზე.

გამოწვევად რჩება საქართველოში ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხი. ორნიშნა რიცხვთან მიახლოებული ინფლაციის შემთხვევაში საპენსიო დანაზოგი დაკარგავს ეფექტურობას.

ასევე, აღსანიშნავია გენდერული დისბალანსი პენსიის მიღებისას, კერძოდ, საშუალო ხელფასისა და სიცოცხლის ასაკის მიხედვით, კაცის ხელფასი დაახლოებით 4-ჯერ აღემატება ქალის მისაღებ პენსიას, რაც არასამართლიანად უნდა ჩაითვალოს, სამომავლოდ საპენსიო ასაკის დაკორექტირება მოუწევს სახელმწიფოს.

საპენსიო რეფორმა, მიუხედავად ნაკლოვანებისა, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ საჭიროა გარკვეული საკითხების დახვეწა, კერძოდ, აქტივების მრავალპროფილურად მართვა და ეკონომიკური სტაბილურობა, რაც არც თუ ადვილი მისაღწევი იქნება.

ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 6;
2. კონსტიტუციური სარჩელი, ედუარდ მარიკაშვილი და ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, [https://](https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1628)

constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1628, (ხელმისაწვდომი:18.05.2021)

3. საპენსიო რეფორმა: ნებით თუ ძალით? ეკონომიკური დისკუსიების პლატფორმა, KAS EPRC ეკონომიკური არენა. 2019. გვ. 5; <https://www.kas.de/uments/269781/0/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90+-+%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf/0f930e64-cb56-412d-1487-1a210564e363?version=1.0&t=1560426531919> (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური უზრუნველყოფა, სტატისტიკა, URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa> (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)
5. საქართველოს ეროვნული სამსახურის სტატისტიკური სამსახური, სამუშაო ძალა, სტატისტიკა, URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa> (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საარსებო მინიმუმი 2021 წელი, URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi> (ხელმისაწვდომი)
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საშუალო თვიური ხელფასი, URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi> (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის მაჩვენებლები, URL:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba> (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)ჯ

9. საქართველოს სტატისტიკური სამსახური, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება(ინფლაცია), URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>, (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სიცოცხლის ხანგრძლივობა გენდერულ ჭრილში, URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba>, (ხელმისაწვდომი: 10.05.2021)

11. საპენსიო სააგენტო, საპენსიო შენატანზე დარიცხული სარგებელი, URL: <https://www.pensions.ge/public-information/news/current-statistics-of-the-pension-agency>, (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)

12. საქართველოს ეროვნული ბანკი, ყოველთვიური ოფიციალური გაცვლითი კურსები, URL: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo>, (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)

13. ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში, URL: https://mof.ge/biujetebis_xarjebi_funkcionalur_chrilshi (ხელმისაწვდომი: 18.05.2021)

14. GÓRA M. (2019) European Commission. Sustainability Report 2017. Brussels: Directorate General of Economic and Financial Affairs, 2017., Redesigning pension systems, Warsaw School of Economics, Poland, and IZA, Germany, p. 2 URL: <https://wol.iza.org/uploads/articles/480/pdfs/redesigning-pension-systems.pdf> ხელმისაწვდომი (18.05.2021)

15. Basiglio S., and Oggero N., (2020) The Effects of Pension Information on Individuals, Economic Outcomes: A Survey, p. 2, URL: <https://www.mdpi.com/2227-7099/8/3/67/html> (ხელმისაწვდომი: 15.05.2021)

16. OECD (2020), Pension Markets in Focus 2020, p. 14 -17. URL: <https://www.oecd.org/daf/fin/private-pensions/Pension-Markets-in-Focus-2020.pdf> (ხელმისაწვდომი: 10.05.2021)

JEL Classification: J32, G18, G23, H53

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.05>

PENSION REFORM - GOALS AND ESTIMATED RESULTS

Lasha Beridze

Doctor of Business management, Associate
professor, St. Tbel Abuseridze University, Georgia

l_beridze@mail.ru

George Abuselidze

Doctors of Economics, Associate professor of
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

abuseri@mail.ru

Summary

The existence of pension schemes does not count for a long period, but its obligation has been historically proven, as the experience of countries has shown that the countries that have the best practices provide better social protection of the population when retiring. The article discusses the redistribution of pension assets worldwide, pragmatically and theoretically evaluating the pros and cons of retirement plans.

The implementation of the pension reform in Georgia has been delayed many times due to the socio-economic situation, accompanied by the psychological attitude of the population towards distrust of the state. Georgia is on the path to European integration, where one of the most important requirements is the proper protection and social equalization of the socially vulnerable, while the existence of pension schemes ensures the accumulation of large amounts of funds, which can play an important role in capital and financial markets.

The advantages of the existence of pension schemes may be reflected in the permanent increase of the equalization ratio, but it should be noted that

at such times the macroeconomic indicators of the state should be relatively stable, such as inflation, stability of the national currency and others.

As of today, the tasks set before the Pension Agency in Georgia are quite ambitious and require effective management, as the pension reform takes only a few years. In the social security system of the population, the pension is a mechanism for maintaining a stable material condition during the period of disability. Following in the footsteps of the development of mankind, pension systems were improved, the main purpose of which was to replace the average income per capita during the working period in a way that would not worsen living conditions. Therefore, the pension replacement rate has become a measure of the evaluation of the pension system of a country. The replacement rate in the pension systems of developed countries is in the range of 60-80%, in developing countries it is 15-30%, which is systematically subject to adjustment.

Georgia, despite the normal rate of economic growth in the last decade, is not distinguished by a pension provision mechanism.

From the day of independence, the state basic pension was periodically subject to changes. The change, however, was related not so much to the approach to the subsistence level as to the subsequent promises of a change of government.

At the present stage, the pension system is in the process of modification, which aims to ensure adequate pension income, fiscal sustainability of pension expenditures and a more effective response to demographic changes in the population.

Developing and developing countries are trying to equalize the time of retirement of the population, which is often difficult to achieve and requires

both economic and political decisions, because the financing of social security from the state budget requires large expenditures. Which can often be the result of the devaluation of the national currency and high inflation, which in itself can be seen as an impediment to economic development.

The increase in social spending is often the subject of controversy among scientists-economists, for example, for the development of the state, what kind of spending will be more effective, financing social or capital projects ?! Often, the increase in capital expenditures, at the expense of the social situation, is not considered a popular political decision, because at this time the dissatisfaction of the socially vulnerable segments of the population increases.

One of the goals of the accumulative pension is to achieve social equality and a high replacement rate, but how much it will work in Georgia is also a question, because the unemployment rate and the self-employed are high in terms of labor force, in particular, about 30% of the labor force The amount of monthly salary that is published statistically is also problematic, because the calculation methodology is often disputed and there is no minimum wage at the level of legislation.

The main functions of the Pension Agency are to invest the accumulated funds, but investments in investment assets are not defined by the National Bank and are quite narrow, for example, foreign practice allows pension funds to invest funds in both real assets and foreign financial markets. As mentioned, the implementation of such investments by the Pension Agency should be allowed in Georgia and should be used to finance national, strategic projects.

Ensuring the stability of inflation and the national currency in Georgia remains a challenge.

In the event of inflation approaching double digits, pension savings will lose effectiveness.

Also noteworthy is the gender imbalance when receiving a pension, namely in terms of average salary and life expectancy, a man's salary is about 4 times higher than a woman receiving a pension, which should be considered unfair, the state will have to adjust the retirement age in the future.

Finally, it should be noted that the pension reform, despite its shortcomings, should be considered a step forward, but it needs to refine certain issues, diversify asset management and economic stability, which will not be easy to achieve.

KEYWORDS: pension reform, equalization coefficient, pension assets, social deprivation.

For citation: Beridze L., Abuselidze G., (2021) Pension reform - goals and estimated results. (in Georgian). Economic Profile, №1(21), pp. 45–61. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.05>

References:

1. Tax Code of Georgia, Article 6
2. Constitutional lawsuit, Eduard Marikashvili and «Georgian Democratic Initiative» against the Parliament of Georgia, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1628>, (checked: 18.05.2021)
3. Economic Arena, Article - Pension Reform: Willingly or By Force ?, 2019, p. 5, <https://www.kas.de/uments/269781/0/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90+-+%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98>

[pdf/0f930e64-cb56-412d-1487-1a210564e363?version=1.0&t=1560426531919](https://www.geostat.ge/pdf/0f930e64-cb56-412d-1487-1a210564e363?version=1.0&t=1560426531919) (checked: 18.05.2021)

4. National Statistics Office of Georgia, Social Security, Statistics, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa> (checked: 18.05.2021)

5. Statistical Service of the National Service of Georgia, labor force, statistics, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba> (checked: 18.05.2021)

6. National Statistics Office of Georgia, subsistence level 2021, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi> (checked: 18.05.2021)

7. National Statistics Office of Georgia, average monthly salary, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi> (checked: 18.05.2021)

8. National Statistics Office of Georgia, labor force indicators, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba> (checked: 18.05.2021)

9. Statistical Service of Georgia, Change in Consumer Price Index (Inflation), <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>, (checked: 18.05.2021)

10. National Statistics Office of Georgia, life

expectancy in terms of gender, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba>, (checked: 10.05.2021)

11. Pension Agency, benefits accrued on the pension contribution, <https://www.pensions.ge/public-information/news/current-statistics-of-the-pension-agency>, (checked: 18.05.2021)

12. National Bank of Georgia, Monthly Official Exchange Rates, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo>, (checked: 18.05.2021)

13. Ministry of Finance, state budget in functional terms, https://mof.ge/biujetebis_xarjebi_funkcionalur_chrilshi (checked: 18.05.2021)

14. GÓRA M. (2019) European Commission. Sustainability Report 2017. Brussels: Directorate General of Economic and Financial Affairs, 2017., Redesigning pension systems, Warsaw School of Economics, Poland, and IZA, Germany, p. 2 URL: <https://wol.iza.org/uploads/articles/480/pdfs/redesigning-pension-systems.pdf> (checked: 18.05.2021)

15. Basiglio S., and Oggero N., The Effects of Pension Information on Individuals, Economic Outcomes: A Survey, 2020 , p. 2, <https://www.mdpi.com/2227-7099/8/3/67/htm> (checked: 15.05.2021)

16. OECD (2020), Pension Markets in Focus 2020, p. 14 -17. URL: <https://www.oecd.org/daf/fin/private-pensions/Pension-Markets-in-Focus-2020.pdf> (checked: 10.05.2021)

აგრორული ეკონომიკა და ეკოლოგია

THE AGRICULTURE-BASED ECONOMY AND ECOLOGY

სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის სრულყოფის საკითხისათვის

პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
paata_koguashvili@hotmail.com

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია; აგრარული პოლიტიკა; მართვა; სტრუქტურული რეფორმა.

J.E.L. classification: Q10, Q18 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.06>

ციტირებისთვის: კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. (2021) სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის სრულყოფის საკითხისათვის. ეკონომიკური პროფილი №1(21), გვ. 63–71. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.21.06>

ანოტაცია. თანამედროვე მსოფლიო დგას ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე და ეს ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ მძაფრად შეიგრძნო თავსდატეხილი პანდემიის პირობებში. კაცობრიობას უმძიმესი ფორმით გადააქვს ეს განსაცდელი და მისგან პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისი. სახეზეა გლობალური, ფუნდამენტური მაკროეკონომიკური ცვლილებების აუცილებლობა. ჩვენს თვალწინ იცვლება მსოფლიო და ამ პირობებში ქვეყნისთვის ჩნდება შანსი სწორად შევაფასოთ არსებული ვითარება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია თავისი შინაარსით, მიზნებით და ამოცანებით ვერ პასუხობს ქვეყნის და დარგის წინაშე

არსებულ გამოწვევებს. დღის წესრიგში დგება აუცილებლობა მეცნიერების, ექსპერტების, პრაქტიკოსების და ფერმერების მეტი ჩართულობით შეიქმნას ახალი პროგრამული დოკუმენტი, რომელიც მიღებამდე გახდება საჯარო განხილვის საგანი. ნაშრომში ავტორთა მიერ შემოთავაზებულია „დიდი ბიძგის პოლიტიკის“ გატარების აუცილებლობა.

შესავალი

მოწინავე ქვეყნების აგრარული პოლიტიკა დაფუძნებულია რესურსული შესაძლებლობების გონივრულ მართვასა და ინტენსიურ-ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, სადაც კომპლექსურად დალაგებულია პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი, ეფექტურად მოქმედებს სისტემური და სტრუქტურული ფაქტორი, მიზნობრივ-დარგობრივი პროგრამები გაწერილია დროში, სივრცეში და აქვს ორმხრივი პასუხისმგებლობა შედეგზე.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე ეფექტურ შედეგს ვერც ერთმა წარმატებულმა ქვეყანამ ვერ მიაღწია, რადგან თანამედროვე მოცემულობაში უაღრესად მნიშვნელოვანია დარგის ინტენსიურ მაღალტექნოლოგიურ განვითარებას წინ უძღვოდეს სახელმწიფოს მიერ კარგად გააზრებული სისტემურ-სტრუქტურული რეფორმა, რეგიონული სფეროების და შესაძლებლობების კვლევა, მიკროზონული დარგობრივი დარაიონება, სწორი სივრცითი დაგეგმვა და სხვა ტიპის მულტისექტორული ჩართულობა. უპირატესად მხოლოდ სახელმწიფოს და მის თვითმმართველ ორგანოებს შეუძლიათ სრულფასოვნად დაგეგმონ და განავითარონ კონკრეტული ტერიტორია, რეგიონი, მუნიციპალიტეტი თუ მიკროზონა. ქვეყნის პროტექციონისტული, მასტიმულირებელი პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს რეალურ სტატისტიკას და კარგად გააზრებულ სიტუაციურ ანალიზს, ჩვენ სწორად უნდა შევარჩიოთ მოქმედების ტაქტიკა და უზრუნველყოთ სამუშაო პროცესი ერთის მხრივ სტრუქტურულ-სისტემური მართვით, ხოლო მეორეს მხრივ თანამედროვე ინტენსიურ-ინოვაციური ტექნოლოგიით, რომელმაც უნდა შექმნას მაღალი ხარისხის, მოცულობითი, ერთგვაროვანი კონკურენტუნარიანი პროდუქტი, რადგან სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია არა თუ ექსპორტის განხორციელება, არამედ საკუთარ ბაზარზე დამკვიდრება. საქართველოში ამჟამად მოქმედი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია სრულად

ვერ პასუხობს ქვეყნის და დარგის წინაშე არსებულ გამოწვევებს და ახალი დოკუმენტის ფორმირების აუცილებლობას წარმოშობს (სტრატეგია, 2020).

ძირითადი ნაწილი

ინტენსიური მეთოდით დარგის განვითარებას ალტერნატივა არ აქვს, თუმცა უპირობოდ გასათვალისწინებელია ყველა ის სპეციფიკური პრობლემა და ტრადიციული უპირატესობა, რომელიც ჩვენს პირობებში მოცემულ რეგიონს ახასიათებს. ამავდროულად გასათვალისწინებელია ინკლუზიური ჩართულობის და სოფლად დამაგრების პოლიტიკის მნიშვნელობა. მიუხედავად კიდევ მრავალი სხვა მექანიზმის და დეტალისა, დღეს დარგის წინაშე გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

1. სასურსათო უსაფრთხოება;
2. დარგის ეფექტური სისტემურ-სტრუქტურული ოპტიმიზაცია;
3. ინტენსიური განვითარება და რაციონალური მართვა;
4. ინოვაციური ტექნოლოგიები და გონივრული მენეჯმენტი;
5. მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანი პროდუქცია;
6. რეგიონული შესაძლებლობები და მიკროზონული უპირატესობა;

ნებისმიერი სიახლის და განვითარების მოდელის ფორმირებას წინ უნდა უსწრებდეს არსებული ვითარების სრულფასოვანი შესწავლა, როგორც სტატისტიკურ-ანალიტიკური, ასევე სიტუაციურ-შეფასებითი კვლევის თვალსაზრისით. სახელმწიფო რეგულაციები და მასტიმულირებელი პოლიტიკა უნდა ქმნიდეს დარგის განვითარების სრულ ჰარმონიას. დაუშვებელია სამოქმედო მოდელში არ იყოს

გამოკვეთილი ხელისუფლების და ფერმერული მეურნეობის ორმხრივი პასუხისმგებლობა, შედეგზე ორიენტირებულობა მოქნილობა, ინოვაციურობა, კრეატიულობა.

მხოლოდ კომპლექსური მულტისექტორული ჩართულობა და სახელმწიფოს მხრიდან აღებული პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს შედეგს და ეს დადასტურებულია მრავალი წარმატებული ქვეყნის მაგალითზე. დროა გავაცნობიეროთ, რომ როდესაც სახელმწიფო კარგავს მართვის სადავეებს, რეალურ სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომას, მართვის ეკონომიკურ ფუნქციას, დომინანტური პროცესში ხდება ლიბერალური მიდგომები, საბაზრო მექანიზმები და არაფრის მომცემი თავისუფლება, ეს მდგომარეობა საფრთხის შემცველია. ლიბერალიზმი განვითარების მუდმივად თანმდევი პროცესია, თუმცა მას ექსტრემალურ პირობებში არ შეიძლება დაეკისროს საქართველოსთვის საბაზრო ეკონომიკის ახალი მოდელის ფორმირების და ფუნქციონირების მთავარი ფაქტორის როლი.


დღეისათვის საქართველოს სოფლის

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანია. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში მიწით მოსარგებლეთა 75% ფლობს ერთ ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობს, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია დანაწევრებული ნაკვეთების სახით – 1-დან 5 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობს მიწით მოსარგებლეთა 23%. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა, 2002 წელთან შედარებით, 34%-ით იყო შემცირებული. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კლების დონე კიდევ უფრო მაღალი იყო (დაახლოებით 60% – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და 54% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში). (Koguashvili and Mamukelashvili, 2020:182)

ქვეყანაში არსებული მდიდარი რესურსული პოტენციალის მიუხედავად, სურსათის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 7-9%-ია, ხოლო იმპორტისა - 10-12%. (იხ.ნახ.1). ამასთან, 2019 წლის შედეგებით, სურსათის იმპორტი 3-ჯერ სჭარბობდა ექსპორტს (სასურსათო უსაფრთხოება, 2020).

ნახაზი 1

სურსათის იმპორტი და ექსპორტი 2016-2019 წლებში (მლნ.აშშ დოლარი)¹



¹ შედგენილია ავტორთა მიერ, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მასალებზე დაყრდნობით

ჩვენ ვიმყოფებით განვითარების ისეთ ფაზაში, როდესაც უმოქმედება და პროცესის ინერციულ რეჟიმში გადაყვანა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს სოფლის მეურნეობის დარგის მომავალი განვითარებისათვის. გამოიკვეთა მოქმედები ორი პერსპექტიული გზა:

პირველი და მოქმედი - „ევოლუციური ინერციის“, რომლის დროსაც უპირატესი ფაქტორი ლიბერალური თავისუფლებაა, სადაც არჩევანის საშუალება შეუზღუდავია, როგორც ორგანიზაციულ-სტრუქტურული, ისე ტექნოლოგიურ-მარკეტინგული თვალსაზრისით. საბაზრო მექანიზმების განსაკუთრებულობა და ღია კონკურენცია ერთი მხრივ, შეიძლება დადებით ფაქტორად მოვიაზროთ. თუმცა, ჩვენს პირობებში იგი აშკარად დეფორმირებულია და ქმნის მძიმე ნეგატიურ ფონს, შესაბამისად აღრმავებს კრიზისს და გაურკვევლობას. ფრაგმენტული აქტიურობა, არასწორად შერჩეული პრიორიტეტები, არასაკმარისი ანალიტიკა, მიზანზე არაორიენტირებული ექსტენცია, არასავალდებულო ახალი ტექნოლოგიები, ბედის ანაბარა მიშვებული სახელმწიფო ინიციატივები, უკონტროლო დახმარებები, პირველადი მწარმოებლებისთვის არასაკმარისი წვდომა ფინანსურ რესურსებზე და მრავალი მსგავსი საკითხი საზოგადოებაში აჩენს დაუსრულებელი მოლოდინის და ევოლუციური ინერციის განცდას, რომლის დაშვება დღევანდელი გამოწვევების პირობებში დანაშაულის ტოლფასია.

მეორე ავტორისეული - „დიდი ბიძგის პოლიტიკა“, სადაც სახელმწიფო იქნება მთავარი გარანტორი და ორგანიზატორი ყველა იმ ამოცანის შესრულებისა, რომელიც დღეს მწვავედ დგას ქვეყნის

წინაშე. სტრატეგია გათვლილი შედეგზე და არა ფრაგმენტულ აქტიურობაზე, რადგან სასურსათო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხს ჩვენ გადავწყვეტთ მხოლოდ ინტენსიური სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით და სტიმულირებით. მას კი სჭირდება კომპლექსური პროტექციონისტული პოლიტიკა, სადაც სისტემურ-სტრუქტურული რეფორმიდან საფასო-მარკეტინგულ პოლიტიკამდე გაწერილი იქნება ყველა მნიშვნელოვანი ნიუანსი, ხოლო ტერიტორიულ-მიკროზონული უპირატესობა გამყარებული იქნება დარგობრივი პროგრამებით და მაღალი ტექნოლოგიებით, რომელიც თავის მხრივ, არის კონკურენტუნარიანობის, ხარისხის, ერთგვაროვანი და მიკვლევადი პროდუქციის შექმნის გარანტი. დღევანდელ ვითარებაში მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს დარგის კომპლექსური, თანმიმდევრული, შეუქცევადი განვითარება და მსოფლიო გამოცდილება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ამ ჭეშმარიტებაში.

სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა ყველა განვითარებული ქვეყნის პრიორიტეტია და აქ გამოწვევები არ არსებობს. თუმცა, მოქმედების მოდელი ყველგან განსხვავებულია და მორგებულია ქვეყნის რესურსულ შესაძლებლობებს, ბუნებრივ-საწარმოო პირობებს, ეკონომიკურ იდეოლოგიას, ისტორიულ-გეოგრაფიულ, ტრადიციულ ფაქტორებს და ზოგადად მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

აღსანიშნავია პოსტკომუნისტური მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში დამაბნეველი ფაქტორი აღმოჩნდა და მისი განადგურებით დავაზიანეთ სხვა დარგისათვის მნიშვნელოვანი თემები. აგრარული საზოგადოება მოვაქციეთ იდეოლოგიურ ტერორში და ვლანძღეთ

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მსგავსი გაერთიანებები. ამ მიდგომამ წარმოშვა ბუნებრივი შიში ნებისმიერი გაერთიანების, კოოპერირების, კლასტერიზების მიმართ. ამას ემატება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებული არაეფექტური და არათანმიმდევრული პოლიტიკა ამ მიმართულებით. შესაბამისად სახეზეა ეკონომიკური რაციონალიზმისგან

და საწარმოო ოპტიმიზაციისგან შორს მდგომი მცირე ფერმერული მეურნეობები, სადაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება უკიდურესად რთულდება. შედეგად, სახეზე გვაქვს სავალალო რეალობა, რომლის მიხედვითაც 2019 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალოთვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე მხოლოდ 60,3 ლარს შეადგენდა (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალოთვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე, ლარი (საქ. სოფლის მეურნეობა, 2019)

წელი	2016	2017	2018	2019
შემოსავალი	63,0	48,8	57,4	60,3

მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი და ფართოდ მიღებული ფორმაა სოფლის მეურნეობის წარმოების მარეგულირებელი და მასტიმულირებელი სისტემის ორ დონიანი მხარდაჭერა. თუ ფედერალური, იგივე ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა მოიცავს მასშტაბურ მაკროეკონომიკურ ამოცანებს და მისი პროტექციონისტული ხასიათი განისაზღვრება სახელმწიფოს წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფისათვის, რეგიონული მარეგულირებელი სისტემა ფოკუსირებულია შედეგზე და ავსებს ყველა იმ მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც აკლია ფედერალურს.

ქვეყნის აგრარული და რეგიონული პოლიტიკა ვერ განვითარდება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის გარეშე, ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის სინერგია უმნიშვნელოვანესია დარგის კომპლექსური, ინოვაციური, ინტენსიური და ინკლუზიური

განვითარებისთვის. დარგობრივი სპეციალიზაციის ოპტიმიზაცია კონკრეტული რეგიონის და მიკროზონის დონეზე იძლევა საშუალებას მივიღოთ მაღალი შედეგი, როგორც პროდუქციის ერთგვაროვანი რაოდენობის და ხარისხის მიხედვით, ასევე მისი კონკურენტუნარიანი ფასის თვალსაზრისით.

სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის ფორმირებისას გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, თუმცა მოქმედების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს:

1. სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა და პროგნოზირების სისტემის მართვა;
2. სამთავრობო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა;

3. სამინისტროს პოლიტიკის თანმიმდევრულობა და მისი მდგრადი ხასიათი, რადგან დარგის წინაშე მდგარი გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები არ შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ;

4. კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მისი წარმოების პირობები;

5. საზოგადოებრივი ჩართულობა და დარგობრივი ასოციაციების მონაწილეობა სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრისას.

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შესწავლისას ვიღებთ სურათს, სადაც ხუთივე პრინციპი საქმიან მოქმედებაშიც და აზრობრივ თეორიაშიც სრულიად დარღვეულია. პროგრამები ფრაგმენტული და შედეგზე ნაკლებად ორიენტირებულია, ინფორმაციულ-ანალიტიკური ნაწილი სუსტი და ბუნდოვანი, არ არსებობს პროგნოზირების სისტემა, ბაზარზე არათანაბარი მდგომარეობაა და არც არსებობს პირობები მისი დაცვის და რეგულირების, მთავრობის ქმედებანი ძირითადად არათანმიმდევრული და მოუქნელია, დარგობრივი ასოციაციები კი ფაქტობრივად შერწყმულია არსებულ არაეფექტურ სამოქმედო მოდელს და არა თუ დომინირებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის ფორმირებაში, არამედ მოქმედებს მათი დაკვეთით და ხშირ შემთხვევაში სერიოზულად აზიანებს პროცესს.

შემოთავაზებული ხედვა, სადაც ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპი ერთმანეთს ავსებს. უფრო მეტიც, მათი სინერგია ქმნის განვითარების წინაპირობას, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მეტ ყურადღებას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

1. მიწის ფრაგმენტაცია და ამ რესურსის ეფექტურად გამოყენების სისტემური რეგულირება;

2. ნიადაგობრივ-კლიმატური უპირატესობების განმსაზღვრელი მეთოდოლოგიის არარსებობა და სახელმწიფო რეგულირების მოშლა კულტურათა დარაიონების თვალსაზრისით;

3. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოუყენებლობა და სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით აბსოლუტური გულგრილობა;

4. უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ბაზრის კვლევის და პროგნოზირების სისტემის მიმართ;

5. ხარისხის კონტროლის დაბალი დონე, პროდუქციის კრიტიკული მასის არ ქონა და შესაბამისად ლოჯისტიკური პრობლემები;

6. არაეფექტური მიზნობრივ-დარგობრივი პრობლემები;

7. რეგიონების და მუნიციპალიტეტების სუსტი ჩართულობა;

8. წყალუზრუნველყოფის პრობლემები და გაუმართავი მენეჯმენტი;

9. მარკეტინგული ქაოსი და საფასო პოლიტიკის არარსებობა;

10. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გართულებული მექანიზმები და მაღალი საპროცენტო განაკვეთი;

11. სოფლის განვითარების კონცეპტუალური მოდელის არ არსებობა;

12. ბაზრის დაცვის მექანიზმების სრული ქმედითუუნარობა.

დასკვნა

